ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲡᲢᲘ

1977
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
10
ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
№ 185
(16925)
ᲤᲐᲡᲘ
2 ᲙᲐᲞ.
1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲕᲐᲦᲐᲕᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠ.). ᲮᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲪᲐᲒᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ „ᲒᲐᲖᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ш. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ) ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲓᲘᲓᲘᲗᲘᲓᲔᲑᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲪᲚᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲣᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲚᲐᲜᲨᲜᲐᲕ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲢᲔᲛᲘᲡ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓᲐᲜ ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ, ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ. ᲮᲝᲚᲝ ᲡᲮᲛᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲔᲥᲕᲡᲘᲡ ᲪᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ. ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ. ᲮᲝᲚᲝ ᲡᲮᲛᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲔᲥᲕᲡᲘᲡ ᲪᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ. ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲡᲐᲜᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲚᲐᲓ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 620 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲭᲘᲚᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲭᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 161.2 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲛ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲓᲐᲕᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ. ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲭᲣᲠᲐ.

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲐ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ 5.600 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲭᲘᲚᲐ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲭᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲕᲐᲚᲘᲓᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ!

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ!

1977 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲝᲑᲘᲗᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50-ᲯᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲚᲐᲓ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲠ ᲙᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲚᲐᲓ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ [illegible] ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 620 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲭᲘᲚᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲭᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 161.2 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲛ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲓᲐᲕᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების მენარალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, შეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

კონსტიტუციის პროექტიდან.

მზადდება აჭარის კონსტიტუციის პროექტი

ბათუმი. აჭიმართა აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. მის შემადგენლობაში არიან მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები.

კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც აჭარაში ხორციელდება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის. პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში აჭარის ასსრ მშრომელებმა შეიტანეს 17 ათასამდე წინადადება და შენიშვნა კონსტიტუციის პროექტის მთელი რიგი სტატიების გამო.

(საქინფორმი).

შრომითი ენთუზიაზმით...

ჭიათურის მანგანუმი მთელ მსოფლიოშია განთქმული. საბჭოთა ხელისუფლებას წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჭიათურაში. აშენდა ახალი შახტები, საბჭოთა მოწყობილობით აღიჭურვა გამამდიდრებელი ფაბრიკები. პრაქტიკულად ახალი სოციალისტური ქალაქი აშენდა ლამაზი უბნებითა და მაღლივი ნაგებობებით. ჭიათურას უწოდებენ არა მარტო მანგანუმის, არამედ აგრეთვე საბაგირო გზების ქალაქს. ქალაქთან ერთად გაიზარდა ახალი მუშათა კლასიც, რომელიც ახლა ჭიათურის სიამაყეა.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ნათქვამია, რომ საბჭოთა მოქალაქეს შრომის უფლება აქვს. ამის ნიმუშია ჭიათურის მუშათა კლასი: მაღალი კულტურა და შრომითი მოვალეობის შეგნება! აქ ყველაფერია შექმნილი მშრომელი კაცისათვის — საუკეთესო ტექნიკა, ახალი საცხოვრებელი უბნები, თეატრი, კულტურის სასახლე, პარკი, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, ახალი სკოლები.

სახელმწიფოს ზრუნვას მაღაროელები დამკვრელური შრომით უპასუხებენ. სუთწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია „ახალი ითხვიხის“ მაღაროთსამმართველო. მაღაროს კოლექტივმა ჯერ კიდევ 24 ივლისს შეასრულა შვიდი თვის გეგმა. სახელმწიფომ გეგმის გადამეტებით 5.300 ტონა მაღალხარისხოვანი სასაქონლო პროდუქცია მიიღო, დაზოგილია მრავალი ათასი მანეთის ელექტროენერგია.

ეს ფოტოსურათი—მოდის მუშათა ცვლა, ჩვენმა კორესპონდენტმა „ახალი ითხვიხის“ მაღაროში გადაიღო.

ვლ. გინზბურგის ფოტო და ტექსტი.



ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲭᲐᲠᲢᲘᲐ

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, არამედ მთელი შეგნებული კაცობრიობა იმყოფება იმ უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე და კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ უმაგალითო ფართო მასშტაბით, რაც საბჭოური დემოკრატიის ახალ ტრიუმფს მოწმობს.

ჩვენი პლანეტის ექვთილი ნების ადამიანები, რომელთაც დიდი ლენინის ქვეყანა აი, უკვე სამოცი წელია შეიჭერასვრით უნათვეს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს — კომუნიზმის მშენებელთა დიად ქარტიას, რომელშიც ასახულია მეცნიერული და რეალური სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული. გამარჯვებანი უკანასკნელ წლებში, რაც დაგვირგვინდა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის აშენებით.

როგორც საბჭოთა კავშირის წევნა კონსტიტუციების მიღების დროს, აქაც ერთგულ კომუნიზმისა და ჩვენი ქვეყნის კლასობრივი მტრები, მათ კარად ესმით ახალი კონსტიტუციის პროექტის იდეური და პრაქტიკული ზეგავლენა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელების უფლებებზე. ამ საკითხებზე ყოველნაირად ცდილობენ გაანელონ ეი, გააყალბონ პროექტის დებულებები, ჩირქი მოსცხონ საბჭოურ დემოკრატიას — უმაღლესი ტიპის დემოკრატიას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სკ კონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მაისის პლენუმზე ღრმად არის გაანალიზებული ის თვისებრივი ხასიათის ძვრები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დღიდან.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი, პრინციპული ცვლილებები ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო. ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკა, მასში განუყოფლად ბატონობს სოციალისტური საკუთრება. ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეხამების საფუძველზე ვითარდება. დიდი გარდაქმნები განიცადა საზოგადოების სოციალურმა სახემ. გაიზარდა მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნება, ტექნიკური ცოდნით აღჭურვილობა, მისი ხელმძღვანელი როლი და მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. დღევანდელი კოლმეურნის თსიქოლოგია უკვე სოციალისტურ საფუძველზე ნამოყალიბდა, იგი თანამედროვე ტექნიკას ფლობს და მისი ცხოვრების წესი ხშირად, მკვეთრად განსხვავდება ქალაქის მკვიდრთა დონისა და ცხოვრებისაგან. ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და კომუნისტური მშენებლობაში მეცნიერების როლის უმაგალითო ზრდის კვალობაზე მატულობს ინტელიგენციის ხვედრითი წონაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

ჩვენში არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიურიც გახდა ერების თანასწორობა. ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, მათ შორის იმათაც, ვინც წინათ ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ჩამორჩებოდა, ახლა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ამავე დროს ყოველი რესპუბლიკის ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა.

„ყველა ამ ცვლილების საერთო მნიშვნელია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საბჭოთა საზოგადოების მზარდი სოციალური ერთგვაროვნობა. კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, თანდათან ქრება განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის, სულ უფრო მეტად ანაწილებს ერთმანეთთან ცხოვრებს მუშაობისადმი ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

მომწიფებული სოციალიზმის აშენების, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მოსახლეობის ყველა ფენის გადასვლის შედეგად ჩვენი სახელმწიფოც, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურად წარმოიშვა, საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ კონსტიტუციის პროექტის თავისებურებები რომ განიხილა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიგვანიშნა, რომ „იმ სიახლის მთავარი მიმართულება, რომელსაც პროექტი შეიცავს, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავებაა!“.

კონსტიტუციის პროექტის მე-7 თავი, რომელსაც ეწოდება „სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი“ ეფრქვევა, როგორც საბჭოური დემოკრატიის უკიდავი პიმნი, რასაც ვერ უარყოფს მთელი მოაზროვნე მსოფლიო.

ცნობილი დასავლეთგერმანელი მეცნიერი და მოღვაწე დოქტორი თომას ნიიმაწი წერს:

„როცა პლანეტის უდიდესი ქვეყნის ხალხი ქმნის თავის ახალ კონსტიტუციას, — ეს ისტორიული მოვლენაა. და თუ ეს კონსტიტუცია აღემატება ყველაფერს, რასაც ადამიანები ცნობდნენ მოქალაქეთა უფლებების სფეროში, მაშინ ის, ვინც იცავს თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას, ხედავს ამაში წინ გადადგმულ ნაბიჯს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვისაც. ჩემს ქვეყანაში, ფედერაციულ რესპუბლიკაში ცოტა ადამიანი როდია, ვინც სწორედ ასე აფასებს ახალ საბჭოთა კონსტიტუციას“.

როგორ გამოიყურება უბრალო ადამიანების „მოქალაქეთა უფლებანი“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში?

უმუშევართა რიცხვი ერთ მილიონს აღწევს; აქედან უმრავლესობა — ახალგაზრდობაა. ეკონომიკური ინსტიტუტების პროგნოზები უმუშევრობის შემდგომ ზრდას წინასწარმეტყველებენ... შრომისა და განათლების უფლება არ არის ასახული ამ ქვეყნის „ძირითად კანონში“.

ბრიჯპორტის (ამერიკის შეერთებული შტატები) უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ პარსონსი აღნიშნავს:

„საბჭოთა ადამიანებმა აიშენეს მოწინავე საზოგადოება. ახლა წყობის დამკვიდრებისათვის შეიფრიალა ბრძოლის ეს 60 წელი მეოცე საუკუნის სოციალური წარმატებების ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ფურცელია... საბჭოური დემოკრატია გამოხატავს მთავრობის ორგანულ კავშირს ხალხის ფართო მასებთან. სსრ კავშირის პოლიტიკური ლიდერები მზიდროდ არიან დაკავშირებული მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან. ამიტომ ისინი ყოველთვის არიან იმის კორსში, თუ რა სჭირდება ხალხს. მშრომელებმაც იციან, რომ მათი აზრი ყოველთვის იქნება გათვალისწინებული“.

თვით ამერიკული ჟურნალი „ერისნენ სოფინს მონიტორი“, რომელსაც ვერ დასწმენ დიდ სიმპათიებს საბჭოთა კავშირის მიმართ, აღიარებდა, რომ „ახალ კონსტიტუციაში საბჭოთა მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებანი კიდევ უფრო გაფართოდა ამჟამად მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით, რომელიც მიღებული იყო 1936 წელს“.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ყველა ასე როდი აფასებს ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტს. ბურჟუაზიულმა იდეოლოგიებმა, განსაკუთრებით ამერიკულმა ანტიკომუნისტებმა ახალი კონსტიტუციის პროექტის გამო ჩვენ ქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს ლოვირაბსნილი კამპანია იმის გარშემო, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში ირღვევოდეს ადამიანის უფლებები. ადამიანებს, რომელთა ხელები მოსცრილია ათასობით პატრიოტისა და ჰუმანისტის სისხლით, რომელნიც თაშიზმისა და რასიზმის მებაირაზტრეებად გვევლინებიან, ყოფნით თავხედობა ილაყბონ ადამიანის უფლებებზე. მართალი იყო ამერიკის ცნობილი პრეზიდენტი ა. ლინკოლნი, როცა ჯერ კიდევ მაშინ, ამერიკული კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, ურჩევდა ზოგიერთ თავის კოლეგას: „თუ გინდათ სხვებს ასწავლოთ, ჯერ თვითონ ისწავლეთ“.

რატომ არ დაინტერესებიან ოკეანისგადმელი ადამიანის უფლებების „დამცველნი“ იმ გარემოებით, რომ 19 სეერთაშორისო კონვენციიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა ძირითად უფლებებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რატიფიცირებულია მხოლოდ 3?, რომ შრომის უფლება და კანონის ბოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობაა ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაფაცებასა და „ფლანგველობას“. „სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა... შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“.

კონსტიტუციის პროექტის ამ მნიშვნელოვან ბუხლებს უმეტესად შეესაბამება საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო, თანმიმდევრული ბრძოლა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის. პარტიის XXIV და XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა და საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებების შესრულებისათვის.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოცესე სესიაზე აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გადადგმულია მძლავრი ნაბიჯები, მიღწეულია სასიხარულო ძვრები ეკონომიკის, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. სულ უფრო ინტენსიურად ჯანსაღდება მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო. რის ბაზაზეც ჯანსაღდება და მონოლითური ხდება ჩვენი სოციალური ორგანიზმიც. თვის უფლებებში აღდგა საბოლოოდ კეთილსინდისიერი შრომა. პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპები; საზოგადოებრივი აზრი, ხალხის აზრი იქცა მძლავრ ძალად, რომელსაც ითვალისწინებენ, რომელსაც ეყრდნობიან. ჩამოყალიბდა ნათელი პერსპექტივები, ადამიანებს ნათლად ესმით, რომ გზა დიდი მომავლისკენ დგას ფოლადებილზე. რომელიც თავდადებული შრომის თასად, პატიოსნებისა და სამართლიანობის, მეგობრობისა და ძმობის ფიროზით უნდა დაძლიონ.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია, რომ თვითკმაყოფილება, მიღწეულით ტკბობა, პარადული ხმაური, მდგომარეობის შელამაზება, ურთიერთმაამებლობა და მლიქნევლობა, ზერელობა და ცხოვრებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება იყო, არის და იქნება საქმის პირველი მტერი. სავსებით სწორად აღინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოხსენებებში, რომ რაც უფრო მტკიცე ფუნდამენტზე დგანავთ, მით უფრო გაბედულად უნდა შეეფუტოთ ნაკლოვანებებს, ავადმყოფური მოვლენებს. იმის შეგნებამ, რომ ბევრი გაკეთდა, ბურუსის ფარდა კი უნდა ჩამოფაროს იმას, რაც არ გაკეთდა, არამედ მეტი პრინციპულობით დაამშვენოს ნაკლოვანებანი, დაგვანახოს მათი გადალახვის გზები და საშუალებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელის ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს იმ ურყევარ შეშმარიტებაზე, რომ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ კამპანია კი არ არის, არამედ პარტიის პოლიტიკაა, რომლის მიზანია რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო და სრული განჯანსაღება, ლენინური ნორმებისა და პრინციპების გამარჯვება ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ქავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 64-ე მუხლი ავალებს სსრ ქავშირს თითოეულ მოქალაქეს „პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ბოლო წლებში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება. ამ ეტაპზეს წინათ ჩვენს რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ არაჯანსაღ ფაქტებს, როგორიცაა ისტორიული მოვლენებისა და პიროვნების მიმართ არაკლასობრივი მიდგომა, ნაციონალიზმის ცალკეული რეციდივები.

აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ეჭვიდ, ჩვენმა ინსტიტუტმა მოამზადა და გადასცა გამომცემლობას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ა. ჯანგველაძის ნაშრომი „საქართველოს კომპარტიის ბრძოლა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი გაძღვა.

დიად თარიღს მიეძღვნა კაპიტალური მეცნიერული ნაშრომი „ამერიკიზაციისის კომუნისტური ორგანიზაციების ბრძოლა მხარის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“, რომელიც ერთთბლივად მოამზადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ამერიკიზაციის ფილიალებმა — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტებმა. ეს მონოგრაფიაც საიუბილეო დღეებში გამოვა.

გაიკვლის კიდევ რამდენიმე თვე და საბჭოთა ქავშირის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია დაამტკიცებს ჩვენი ქვეყნის, ლენინიზმის ქვეყნის ახალ ძირითად კანონს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ქავშირის კონსტიტუციას, რომელიც ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მშენებელთა დიადი ქარტია.

დ. სტურუა,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

400.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

სიგნალები ჩაის პლანტაციებიდან

როცა ფარმატებებს ჩრდილი აწყლავს

სახელოვანი ზუგდიდელი მეჩაიეების შრომითი შემართება კარგად არის ცნობილი. მათ განსაკუთრებით შარშან ისახელეს თავი. საიუბილეო წელს კი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეჩაიეებმა, მექანიზატორებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. რესპუბლიკაში 400 ათასი ტონა ჩაისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში ზუგდიდელთა წვლილი 54 ათასი ტონა ჩაის ნედლეული იქნება, რაც წინათ აღებულ ვალდებულებას 4 ათასი ტონით აღემატება. 9 აგვისტოსათვის უკვე მოკრეფილია 41.530 ტონა ნედლეული, აქედან 72 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა.

მაგრამ რაოდენ გულსატკივნია, როცა რაიონის საერთო მაჩვენებლებს უკან ეწევიან ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობები. ამ საერთო მაჩვენებლებს ჩამორჩებიან კორცხელის, ნაცატუს, ურთის, ტყაიის, ცხორის, მაძრონის, რიყის, ჭკადუაშის ორჯონიკიძის, ოდიშის კოლმეურნეობების მეჩაიეები და მექანიზატორები.

კორცხელის კომუნიზმის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ღ. ჯგუშია, მთავარი აგრონომი შ. ჯიბლაძე) წელს ახალი ვალდებულებით 1415 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს, ჯერჯერობით წლიური გეგმა-ვალდებულების 61,1 პროცენტია მოკრეფილი. უკანასკნელი წლების მიხედვით ეს კოლმეურნეობა როგორც გეგმა-ვალდებულების შესრულებით, ისე პირველი ხარისხის ნედლეულით რაიონში ერთ-ერთი მოწინავე იყო. წლეულს მართალია შარშანდელთან შედარებით 31 ტონით მეტი აქვთ მოკრეფილი, მაგრამ ეს საქმეს როდი შველის, რაიონის მეჩაიეთა შრომის ტემპს ჩამორჩნენ.

მეხუთე საწარმოო ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. კვარაცხელია) სამ თვეში გეგმა-ვალდებულების 65.700 კილოგრამის ნაცვლად 58.337 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. ასევე ჩამორჩებიან ის ბრიგადები რომელსაც გ. ხვიტია, ფ. ჭითანავა და შ. ქობალია ხელმძღვანელობენ. ეს იმიტომ, რომ მათ აკლიათ მუშახელი. არ ჰყოფნით ხელით საკრეფი აპარატები. ზოგან პლანტაციები დაუმუშავებელია, ხოლო ჩაის ღუვები გადაუჭამებული.

ურთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა დარღვევებისა და მოუქნელი მუშაობისათვის ამ ორიოდე დღის წინათ შეიცვალა. კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის მოლის შედეგად მაის-ივნისის ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება კი არა, გეგმაც არ შეესრულებიათ. განსაკუთრებით ჩამორჩა ეკორე ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. ქირია), რომელმაც სასუქების მეორე დოზა აგროწესების დიდი დარღვევით ჰ აგვისტოს დამთავრა. ასევე ჩამორჩა მექანიზაციის ბრიგადა (ხელმძღვანელი ნ. აფხაზავა). ბრიგადამ შემოწმების დღისათვის წლიური გეგმა-ვალდებულება მხოლოდ 50 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. ამ ბრიგადის ჩამორჩენა ძირითადად განაპირობა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ სათადარიგო ნაწილების უკმარისობამ. დღემდე აკლიათ მანქანის დანები, ხშირად მწყობრიდან გამოდის საბურავები.

კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე დ. კოდუა) პლანტაციის დამუშავებით, სასუქების შეტანით უზრუნველყო ოვლილის გეგმა-ვალდებულების 112,1 პროცენტით შესრულება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წლიური გეგმა-ვალდებულებაც ასევე წარმატებით შესრულდება.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

სახელს უტეხენ ვაჭრობის მუშაკს

რედაქციას შეასუხებს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი თ. ფეოდოროვა

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში: „სახელს უტეხენ ვაჭრობის მუშაკს“ ლაპარაკი იყო აფხაზეთის სავაჭრო ორგანიზაციებში მოწყობილი რეიდების შედეგად გამოვლენილულ ნაკლოვანებებზე.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა რედაქციას აცნობა, რომ აღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

უნაგირი დარღვევებისა და ბოროტმოქმედებისათვის ოფიციანტები ვ. კუშბეკოვა, ლ. ლაგვილავა, ა. ლაზენკო, ნ. გაენენკო და ჭ. სოხუმის ცენტრალური უნივერმაღის სექციის გამგე ა. ცოფაია განთავისუფლებული არიან სამუშაოდან და მასალები გადაეგზავნა საგამოძიებლო ორგანოებს.

რკინიგზის რესტორნისა და უნივერმაღის ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. უნივერმაღის დირექტორი შ. ილარიონოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მრეწვაჭრობისა და რესტორნის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ამ საწარმოთა პარტორგანიზაციათა მდივნებს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ.

წერილში აღნიშნული ფაქტების ერთ-ერთი მიზეზი სუსტი საწყობი კონტროლია. აფხაზეთის ასსრ სავაჭრო საწარმოებში საწყობო კონტროლის შოწყობის სეროიზული ნაკლოვანებების თაობაზე ივნისში იმსჯელეს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი პროფილაქტიკური და საკონტროლო მუშაობის დონის მკვეთრი აღმავლობისათვის.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

რედაქციას უპასუხებს კასპის რაისაბჭოს აღმასკომი.

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მიმდინარე წლის 28 მაისის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი, რომელიც კასპის რაიონში საწვავ-საცხები მასალების გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომი ვფიქრობებს, რომ ვაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი სინამდვილეს შეეფერება.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომმა საწვავ-საცხები მასალების ხარჯვაზე სუსტი კონტროლის, ავტომობილების ნაგზურების არასწორად შევსების ფაქტების აღსაკვეთად ზომების მიუღებლობისა და ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილების გამოყენებისათვის ნ. აზმაიფარაშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან. ამავე საბჭოთა მეურნეობის გარაჟის გამგის მოვალეობისაგან, ხოლო საბჭოთა მეურნეობის მთავარ ინჟინერს შ. ოქროფაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. გაანთავისუფლა აგრეთვე ქვათახვევის, ციალისხვილის, ოკამის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები კ. თალაკვაძე, ე. გოცირიძე, შ. კურდღელაშვილი, კასპის ხაჭარმოო სახელოსნოების დირექტორი ნ. ქიტაძე, ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. მაჭუტაშვილი, რომ დაამყარონ სრული წესრიგი საწვავ-საცხები მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ — ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲘ

რედაქციას უპასუხებს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი“

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტში“ დაიბეჭდა პრობლემური წერილი, რომელიც რესპუბლიკაში საგზაო მშენებლობის და სატრანსპორტო კვანძებიდან დაგეგმარების პრობლემებს შეეხებოდა.

ამის გამო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ დირექტორმა გ. მირიანაშვილმა რედაქციას აცნობა:

— ინსტიტუტს არა აქვს სპეციალური განყოფილება, რომელიც დედაქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო კვანძების გახსნისათვის საჭირო სამუშაოებს შეასრულებდა. ამიტომ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა დაკისრებული აქვს ინსტიტუტის დაგეგმარების სახელოსნოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპუბლიკა ამ დარგის სპეციალისტთა ნაკლებობას განიცდის, არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კარგი იქნება, თუ ამ სპეციალისტებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მოამზადებს.

„თბილქალაქპროექტის“ მიერ ხელმეორედ იქნა გადამუშავებული გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის ადრე დამტკიცებული პროექტი, რომელიც განსახილველად წარდგენილია სახმშენისა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის გაერთიანებულ სხდომზე. პროექტში გათვალისწინებულია ფეხითმოსიარულეთათვის უკეთესი მიგიენური პირობები.

ამ წერილის გამო რედაქციამ პასუხი მიიღო იგრეთვე ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოდან.

— გამოშვებული ასფალტბეტონის მასის შემოწმება ხდება ლაბორატორიული წესით, რომელსაც ურთიერთ ხელშეკრულების საფუძველზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცენტრალური ლაბორატორია ასრულებს. დამზადებული პროდუქცია სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს ერთი პირობის გარდა: მის შემადგენლობაში სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო არ ხდება შემავსებელი ნაწილების, „ფილერისა“ და ცემენტის შერევა, რაც 10-15 პროცენტით აქვეითებს გამოშვებული პროდუქციის სიმტკიცეს. დღეისათვის აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად მიღებულია ზომები. რაც შეეხება ასფალტის რეგენერაციის საკითხს, ჩვენს მიერ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო გზების კათედრის გამგის ვ. გოგლაძის ხელმძღვანელობით დამუშავებულია ასფალტის სარეგენერაციო დანადგარი, რომელიც უახლოეს ხანში წარმოებაში იქნება გაშვებული. — სწერს რედაქციის სამმართველოს უფროსის მოადგილე **მ. ხვანიძე.**

ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ თავისი უდიდესი აუდიტორიით დღევანდელობის ერთ-ერთ ეროვნულ ტელეარხად, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკ

ტელეტაიპი გაჯდეოგვცეთ

მსოფლიოს ამბები

ფაქტები • პროგლემები

მოწოდება

ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის წლისთავზე, ამ მოწოდების ხელისმოსაწერი პარტიები ილაშქრებენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დასახული ნეიტრონული ბომბის წარმოების წინააღმდეგ. ისინი ამხილებენ ბარბაროსულ ხასიათს ამ იარაღისა, რომელიც განკუთვნილია მილიონობით ადამიანის დაუნდობელი განადგურებისათვის.

ამგვარი ნაბიჯი კიდევ უფრო დაიჩქარებს გამალებულ შეიარაღებას და ახალ საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო მშვიდობას. პარტიები მოუწოდებენ მთელ მშვიდობისმოყვარულ ძალებს, განსაკუთრებით სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებსა და ქრისტიანებს, მხარი დაუჭირონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განკრძობას, მშვიდობის უზრუნველყოფას განიარაღების ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების გზით, რაც საშხედრო ბლოკების დაძლევის, ამასთან მათი დაშლის წანამძღვარია. ისინი მიმართავენ ხალხებს მოწოდებით — ითანამშრომონ გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისათვის. მასობრივი მოსპობის იარაღის სრულ აკრძალვამდე ამგვარი იარაღის ახალ სახეობათა შემუშავება და წარმოება უნდა აიკრძალოს.

ბელგიის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, კანადის კომუნისტური პარტია, დანიის კომუნისტური პარტია, გერმანელთა კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ფინეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, ირლანდიის კომუნისტური პარტია, იტალიის კომუნისტური პარტია, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია, ნორვეგიის კომუნისტური პარტია, ავსტრიის კომუნისტური პარტია, კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, პორტუგალიის კომუნისტური პარტია, სან-მარინოს კომუნისტური პარტია, მემა რცხენე პარტია — შვეიცის კომუნისტები, შვეიცარიის შრომის პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, ესპანეთის კომუნისტური პარტია, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, თურქეთის კომუნისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტია, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია.

საფრანგეთის მთავრობის პოზიცია

პარიზი, 8 აგვისტო. (საკლესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუი დე გირენგომ რადიოსადგურ „ფრანს-ინტერის" გადაცემაში გამოსვლისას ჩამოთვალა ის პირობები, რომელთა შესაბამისად პარიზი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს „თერმობირთვული სათბობის ციკლის შეფასების საერთაშორისო პროგრამის" შემუშავებაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა წარმოადგინა. ასეთი „საერთაშორისო პროგრამის" მიზანია, თქვა მინისტრმა, იმის ცდა, რომ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება დაუკავშირონ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრინციპს, რამდენადაც ასეთი გავრცელების საფრთხე არსებობს. საფრანგეთი, ხაზგასმით აღნიშნა დე გირენგომ, თანხმობას იძლევა შემდეგი სამი პირობით:

დისკუსია უნდა გაიმართოს ექსპერტების დონეზე, და მისი დამთავრების დროისათვის შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები ამ საკითხზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო წესების კრებულის ხელმოწერის შესაძლებლობის შესახებ.

ამ დისკუსიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა სახელმწიფომ, „რომლებსაც მნიშვნელოვანი ატომური შესაძლებლობანი აქვთ", კერძოდ საბჭოთა კავშირმა.

ამ პროგრამის განხილვის, ან გამოკვლევისას, რომელიც შეიძლება ორ წლამდე გაგრძელდეს, ურანის მიმწოდებლებმა არ უნდა მიიღონ არავითარი გაღაწყვეტილებანი, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან დაინტერესებულ ქვეყნებში ატომური სათბობის გამოყენების ენერგეტიკული პროექტების კანონიერ განვითარებას.

კვლავ მაქოსებური დიპლომატია?

ბეირუთი, 6 აგვისტო. (საკლესი). მეორე კვირაა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი მოგზაურობს ერთი არაბული ქვეყნიდან მეორეში. ახლა იგი საუდის არაბეთშია. დღეს გაიმართება მისი შეხვედრა მეფე ჰალედთან და უფლისწულ ფაჰდთან.

ლონდონის „გარდიანი" ამასთან დაკავშირებით წერა, რომ ამერიკა-ი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, როგორც ჩანა, საუდის არაბეთში ჩამოვიდა „თავისი ბიზნეს გადარჩენის იმედით". მეორე გაზეთი — პარიზის „ფიგარო" წერა, რომ „ამერიკის დიპლომატიას სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ხელი აიღოს თავის წინადადებებზე. ჩანს, რომ „საუშაო ჯგუფის" შექმნის იდეა გადაიდო ამერიკა-არაბეთისა და ამერიკა-ისრაელის ორმხრივი მოლაპარაკების პროგენტის საარგებლოდ. ვენსის მაგალითისამებრ სადათმა მაშინვე აიეთვე „სტრატეგიული უკანდახვევა" პოზიცია დიკავა".

საქმე ეხება „საუშაო ჯგუფის" შექმნის „მოდერნიზაციაზე" იდეას. როგორც პრესა იუწყება „საუშაო ჯგუფის" სხდომების ნაცვლად ხიუ-იორკში სექტემბერში უნდა „გაიმართოს ამერიკა-არაბეთისა და „ამერიკა-ისრაელის ორმხრივი მოლაპარაკება, რომელზეც ამერიკის შეერთებულ შტატებს „ერთადერთი არბიტრის" როლი ეკისრება.

ერ-რიადში საუდის მოღვაწეებთან მოლაპარაკეთა შემდეგ ვენსი აპირებს 11 აგვისტოს ეგვიპტეში დაბრუნდეს.

ს. ვენსის თანმხლებ ჟურნალისტთა ჯგუფებიდან ცოტაოლი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა არაბეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრებში „ზოგადად მოხახა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა მომავალი მოწესრიგების ნარჩენები". მაგრამ, როგორც „ლიბერიონ" წერა, „ტაშრინი" წერა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ამბავ ს. ვენსი ხითქვამი ადაილუტრებს, გაჯრახული აქვს არაბები დაითანხმოს ახალ დათმობებზე ტელ-ავივის ინტერესების საზიანოდ, რომელიც არ აპირებს დაუბრუნდეს 1967 წლის 5 ივნისამდე არსებულ ხაზებს. ამავე დროს ცდილობენ თავიდანვე მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობა ან მიაღებინონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

არათანასწორუფლებიანი პარტნიორობა

კუალა-ლუმპური, 8 აგვისტო. (საკლესი). აქ დამთავრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებისა და მაპოხიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკება. ამ შეხვედრები მოხაწყლეთა ერთობლივ განცხადებაში ლაპარაკი იყო უველა პრინციპულ საკითხზე მეთანხმების მიღწევის შესახებ. მაგრამ ოფიციალური განცხადებისა და გამოთქვამების მიერურულ ტონს მიღმა ფარება ხერიოზული წინააღმდეგობანი, რომლებიც ვერა და ვერ გადაეკვეტა.

შეხვედრის მონაწილენი — სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციაში შემავალი ინდონეზიის, მალაზიის, სინგაპურის, ტაილანდისა და ფილიპინეთის ხელმძღვანელები შეიფოთეიული ორიან თავიანთ ყურადღებას ეს ბოლოდროინდელ ოკეანეთა სავაჭრო-ეკონომიკური კონპანიათ, ორმელეიც ცდილობენ შიდა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის უფრო სუფტი პაოტნიორეობა ითანამშრომლოთ. „ხუთეულის" ქვეყნეები, კერძოდ, უკმაყოფილნ ორიან ეკონომიკა ძალიან ხანგრძლივ ხანად დისბალანსით, რაც ტოკიოს, კანბერიოსა და ვაშინგტონსა დაკონიმინაციულ პოლიტიკით ერია გამოწვეული. შეუფეოხეველად ასალეიენ ორ თავიანთ პროდუქციას, საძრხეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე. ამ უკანასკნელებმა დაუძლეველი დაბოკოლეანი აღმართეს საძრხეთ-აღმოსავლეთ სახელმწიფოთა ასოციაციის საქონლის ბაზე, რაც მხიმეველოვნად აფერხებს ასოციაციის წევრი ახალეიფოფობის ეკონომიკურ განვითარებას, იწვევა წარმოების შეკვეცას, საბოლოოდ კი უმუშევრობის ზრდას ამ ქვეყნებში.

მაგრამ ეიპოხეიოს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები ფაქტიურად უარი თქვეს დათმობებზე. მოლაპარაკებია შედეგეი ვერც ეიპოხეიოს პრემიერ-მინისტრმა ტ. ფუკუდას დაპირებებმა შეალამზეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაციის ქვეყნები ფინანსურ დახმარებას გაუწევს. როგორც საერთო არბიტრის" როლი ეკისრება.

ერ-რიადში საუდის მოღვაწეებთან მოლაპარაკეთა შემდეგ ვენსი ეპირებს 11 აგვისტოს ეგვიპტეში დაბრუნდეს.

ს. ვენსის თანმხლებ ჟურნალისტთა ჯგუფებიდან ცოტაოლი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ეიპოხეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრებში „ზოგადად მოხახა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა მომავალი მოწესრიგების ნარჩენები". მაგრამ, როგორც „ლიბერიონ" წერა, „ტაშრინი" წერა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ამბავ ს. ვენსი ხითქვამი ადაილუტრებს, გაჯრახული აქვს ეიპოხეთის ხელმძღვანელები დაითანხმოს ახალ დათმობებზე ტელ-ავივის ინტერესების საზიანოდ, რომელიც არ აპირებს დაუბრუნდეს 1967 წლის 5 ივნისამდე არსებულ ხაზებს. ამავე დროს ცდილობენ თავიდანვე მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობა ან მიაღებინონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ირანის ახალი მთავრობა

**თეირანი, 8 აგვისტო. (საკლესი). ირანის ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა გახდება ქვეყანაში ფასების ზრდისა და ელექტროენერგიის ნაკლებობის წინააღმდეგ ბრძოლა, განაცხადა ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომის შემდეგ ჯ. ამუზგარამა, რომელიც მთავრობის მეთაური გახდა. ეს პო

ᲙᲘᲜᲝ

ᲑᲐᲡᲙᲔᲗᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲣᲐᲮᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ წლებში ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება კვლავ მიიპყრო ისტორიულად არსებულმა ჰიპოთეზამ ბასკებისა და კავკასიის ხალხების, კერძოდ ქართველების ნათესაურ კავშირზე.

2000 წელზე მეტია კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს ეს აზრი. იგი ხან მეტი სიმძლავრით აღმოცენდება და მოიცავს მთელ მსოფლიოს, ხან ისევ ყოველივეს ბურუსი გადაეფარება. რა უდევს საფუძვლად ამ ჰიპოთეზას, რას ეყრდნობა ერთმანეთისაგან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ამ ხალხთა ნათესაობის ამბავი?

სამე ის არის, რომ ბასკური ენა ერთადერთია ევროპაში, რომელიც ინდოევროპული წარმოშობისა არ არის, ბასკები ტომობრივად, ეთნიკურად არც ერთ ევროპელ ხალხთან არ არიან დაკავშირებული, და რომ, ერთი შეხედვით, მათ ბევრი საერთო აქვთ კავკასიის იბერებთან.

ამ ჰიპოთეზას უძველესი დროიდან მრავალი მეცნიერი, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე შეეხო. შეიქმნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, ამ პრობლემით ქართველი მეცნიერებიც არიან დაინტერესებული.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, თეორიული საკითხია. სულ სხვაა, როცა ამ „ნათესაური კავშირის“ ამსავსებელ ფაქტებს უშუალოდ ჩვენი თვალით ვნახავთ და განვიცდით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსრ კავშირის სახალხო არტისტის გიორგი ასათიანის ფილმი „ბასკთა ქვეყანაში“, რომლის სცენარის ავტორი ასათიანთან ერთად არის მიხეილ სალუქვაძე, თანაოპერატორი — იური ბარამიძე.

ფილმის პირველივე კადრები მაყურებელს ეროვან ინფორმაციას აწვდის ბასკებისა და იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზის თაობაზე. თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან ცოცხლდებიანო პლატონის, არისტოტელეს, სტრაბონის, გიორგი მთაწმინდელის, ვალტერ ჰუმბოლდტის, ფრიდრიხ ენგელსის, ჰუგო შუხარდტის, ნიკო მარის, რენე ლაფონისა და სხვა მოღვაწეთა პორტრეტები, ვეცნობით მათს გამონათქვამებს კავკასიისა და პირენეის იბერების საერთო წარმოშობის შესახებ.

და როცა მაყურებელი უკვე შეიცნობს საქმის არსს, ფილმის ავტორები თავიანთ ნაშრომს ასეთ განმარტებას აძლევენ; „ჩვენს მიზანს არ შეადგენს ნათელი მოვფინოთ ამ საიდუმლოებით მოცულ საკითხთა წრეს, რომლებსაც თანამედროვეთა წინაშე აყენებს ბასკეთი.

ეს იქნება სასარგებლო კინოშოგზაურობა საბჭოთა მაყურებლისათვის სრულიად უცნობ ბასკეთში, რომლის ეთნოგრაფია და კულტურა საშუალებას იძლევა მოკრძალებული პარალელები გავავლოთ საქართველოსთან.“

და აი კინოობიექტივთან ერთად ემოგზაურობთ ბასკეთის ქალაქებსა და სოფლებში. ინტერესით ვადევნებთ თვალს ეკრანზე აღბეჭდილ ბასკთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებს, და ყველგან ჩვენთვის ნაცნობსა და ახლობელს ვხედავთ.

რეჟისორის მახვილ თვალს მშვიდ ელობიდან არ რჩება ამ მსგავსების მაუწყებელი მომენტები: „არ ჩანდა“ — თითქოს ქართულ სიტყვას ვკითხულობთ ბასკეთის დედაქალაქის — ბილბაოს შესასვლელში, „არჩანდა“ ბილბაოს ფუნიკულიორს ჰქვია, აი კიდევ ბილბაოს „იბერია“ — ქალაქის ყველაზე უდიდესი სასტუმრო. ვიწრო ქუჩები, მაღაზიების წინ გამოკიდებული ღვინის ტიკები ნაცნობია. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო მასალები ბილბაოს ეთნოგრაფიულ მუზეუმშია თავმოყრილი. ეკრანზე მოჩანს ამ მუზეუმის ექსპონატები — გასახმობად გამოკიდებული სმიენდის ტაროები, სხვენზე ჩამოკიდებული კუპატები, კოტა სასიმინდეები, რომლებიც გურულ ნალიებს მოგაგონებთ. უყურებთ ამ კადრებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს მუზეუმის ექსპონატებს კიჩვენებდნენ...

შემდეგ კინოობიექტივს დღევანდელი ბასკეთის ქალაქებში გადავყავართ: ვხედებით ბასკ მეტალურგებს, ზღვაოსნებს, ეკრანზეა ბასკეთის მთიანეთი. იქაც, ისევე როგორც ჩვენში, მრავალდ შეეხვედებით კოშკებსა თუ გალავნიან ციხე-ქალაქებს. აი როგორ თესავს სიმინდს ბასკი მთიელი გლეხი! პარალელურად ქართველი მთიელი გლეხიც არის გამოყვანილი. ასევე პარალელურად არის ნაჩვენები პურის აღების თავისებური წესიც, რომელიც სულ ადრე აკადემიკოს ნ. ვავილოვს ესპანეთის ჩრდილოეთში და ლეჩხუმში უნახავს.

ბასკეთის მთიანეთში გადაღებული ერთი ოჯახის ფონზე ნაჩვენებია მთიელი ბასკის ცხოვრება. ფილმში ვეცნობით დღევანდელი ბასკების გასართობებს — შეჯიბრებას ხის მორების ჭრაში, ქვის თრევაში, რომლის მსგავსად ჩვენში ძმიმე ქვის აწევაში ასპარეზობა იციან და, რასაკვირველია, ბასკთა სპორტის საყვარელი სპეობაა ფეხბურთი. ფილმში ისტორიული დოკუმენტური კადრებია გამოყენებული: ამ ორმოცი წლის წინათ ბასკ ფეხბურთელთა სტუმრობა თბილისში, დაუვიწყარი ასპარეზობა ბასკებისა და თბილისის დინამოს ოსტატ ფეხბურთელთა შორის.

ბევრ საინტერესოს მოგვითხრობს ფილმი ბასკეთის ქალაქ სან-სებასტიანზე, მისი სტუდენტი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, მათ გართობა-თამაშობებზე, ვეცნობით ბასკების ულამაზეს ცეკვას „ხოტას“.

კინომოგზაურობა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მთავრდება. ქართული კულტურის დაუ-

ღალავმა მოღვაწემ გიორგი ასათიანმა კიდევ ერთი ფილმით გაგვახარა, მსოფლიოს კიდევ ერთ ჩვენთვის უცნობ ქვეყანაში გვამოგზაურა.

ამ დღეებში „რუსთაველის“ კინოთეატრში გაიმართა ეროსურათის „ბასკთა ქვეყანაში“ პრემიერა, მაყურებელთა შეხვედრა ფილმის შემოქმედთან კოლექტივთან და ბასკოლოგებთან.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები ფილმიდან „ბასკთა ქვეყანაში“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲠᲘᲛᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲘᲡ ᲑᲐᲡᲙᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲖᲔ.

2000 წელზე მეტია კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს ეს აზრი. იგი ხან მეტი სიმძლავრით აღმოცენდება და მოიცავს მთელ მსოფლიოს, ხან ისევ ყოველივეს ბურუსი გადაეფარება. რა უდევს საფუძვლად ამ ჰიპოთეზას, რას ეყრდნობა ერთმანეთისაგან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ამ ხალხთა ნათესაობის ამბავი?

სამე ის არის, რომ ბასკური ენა ერთადერთია ევროპაში, რომელიც ინდოევროპული წარმოშობისა არ არის, ბასკები ტომობრივად, ეთნიკურად არც ერთ ევროპელ ხალხთან არ არიან დაკავშირებული, და რომ, ერთი შეხედვით, მათ ბევრი საერთო აქვთ კავკასიის იბერებთან.

ამ ჰიპოთეზას უძველესი დროიდან მრავალი მეცნიერი, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე შეეხო. შეიქმნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, ამ პრობლემით ქართველი მეცნიერებიც არიან დაინტერესებული.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, თეორიული საკითხია. სულ სხვაა, როცა ამ „ნათესაური კავშირის“ ამსავსებელ ფაქტებს უშუალოდ ჩვენი თვალით ვნახავთ და განვიცდით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსრ კავშირის სახალხო არტისტის გიორგი ასათიანის ფილმი „ბასკთა ქვეყანაში“, რომლის სცენარის ავტორი ასათიანთან ერთად არის მიხეილ სალუქვაძე, თანაოპერატორი — იური ბარამიძე.

ფილმის პირველივე კადრები მაყურებელს ეროვან ინფორმაციას აწვდის ბასკებისა და იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზის თაობაზე. თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან ცოცხლდებიანო პლატონის, არისტოტელეს, სტრაბონის, გიორგი მთაწმინდელის, ვალტერ ჰუმბოლდტის, ფრიდრიხ ენგელსის, ჰუგო შუხარდტის, ნიკო მარის, რენე ლაფონისა და სხვა მოღვაწეთა პორტრეტები, ვეცნობით მათს გამონათქვამებს კავკასიისა და პირენეის იბერების საერთო წარმოშობის შესახებ.

და როცა მაყურებელი უკვე შეიცნობს საქმის არსს, ფილმის ავტორები თავიანთ ნაშრომს ასეთ განმარტებას აძლევენ; „ჩვენს მიზანს არ შეადგენს ნათელი მოვფინოთ ამ საიდუმლოებით მოცულ საკითხთა წრეს, რომლებსაც თანამედროვეთა წინაშე აყენებს ბასკეთი.

ეს იქნება სასარგებლო კინომოგზაურობა საბჭოთა მაყურებლისათვის სრულიად უცნობ ბასკეთში, რომლის ეთნოგრაფია და კულტურა საშუალებას იძლევა მოკრძალებული პარალელები გავავლოთ საქართველოსთან.“

და აი კინოობიექტივთან ერთად ემოგზაურობთ ბასკეთის ქალაქებსა და სოფლებში. ინტერესით ვადევნებთ თვალს ეკრანზე აღბეჭდილ ბასკთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებს, და ყველგან ჩვენთვის ნაცნობსა და ახლობელს ვხედავთ.

რეჟისორის მახვილ თვალს მშვიდ ელობიდან არ რჩება ამ მსგავსების მაუწყებელი მომენტები: „არ ჩანდა“ — თითქოს ქართულ სიტყვას ვკითხულობთ ბასკეთის დედაქალაქის — ბილბაოს შესასვლელში, „არჩანდა“ ბილბაოს ფუნიკულიორს ჰქვია, აი კიდევ ბილბაოს „იბერია“ — ქალაქის ყველაზე უდიდესი სასტუმრო. ვიწრო ქუჩები, მაღაზიების წინ გამოკიდებული ღვინის ტიკები ნაცნობია. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო მასალები ბილბაოს ეთნოგრაფიულ მუზეუმშია თავმოყრილი. ეკრანზე მოჩანს ამ მუზეუმის ექსპონატები — გასახმობად გამოკიდებული სმიენდის ტაროები, სხვენზე ჩამოკიდებული კუპატები, კოტა სასიმინდეები, რომლებიც გურულ ნალიებს მოგაგონებთ. უყურებთ ამ კადრებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს მუზეუმის ექსპონატებს კიჩვენებდნენ...

შემდეგ კინოობიექტივს დღევანდელი ბასკეთის ქალაქებში გადავყავართ: ვხედებით ბასკ მეტალურგებს, ზღვაოსნებს, ეკრანზეა ბასკეთის მთიანეთი. იქაც, ისევე როგორც ჩვენში, მრავალდ შეეხვედებით კოშკებსა თუ გალავნიან ციხე-ქალაქებს. აი როგორ თესავს სიმინდს ბასკი მთიელი გლეხი! პარალელურად ქართველი მთიელი გლეხიც არის გამოყვანილი. ასევე პარალელურად არის ნაჩვენები პურის აღების თავისებური წესიც, რომელიც სულ ადრე აკადემიკოს ნ. ვავილოვს ესპანეთის ჩრდილოეთში და ლეჩხუმში უნახავს.

ბასკეთის მთიანეთში გადაღებული ერთი ოჯახის ფონზე ნაჩვენებია მთიელი ბასკის ცხოვრება. ფილმში ვეცნობით დღევანდელი ბასკების გასართობებს — შეჯიბრებას ხის მორების ჭრაში, ქვის თრევაში, რომლის მსგავსად ჩვენში ძმიმე ქვის აწევაში ასპარეზობა იციან და, რასაკვირველია, ბასკთა სპორტის საყვარელი სპეობაა ფეხბურთი. ფილმში ისტორიული დოკუმენტური კადრებია გამოყენებული: ამ ორმოცი წლის წინათ ბასკ ფეხბურთელთა სტუმრობა თბილისში, დაუვიწყარი ასპარეზობა ბასკებისა და თბილისის დინამოს ოსტატ ფეხბურთელთა შორის.

ბევრ საინტერესოს მოგვითხრობს ფილმი ბასკეთის ქალაქ სან-სებასტიანზე, მისი სტუდენტი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, მათ გართობა-თამაშობებზე, ვეცნობით ბასკების ულამაზეს ცეკვას „ხოტას“.

კინომოგზაურობა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მთავრდება. ქართული კულტურის დაუ-

ღალავმა მოღვაწემ გიორგი ასათიანმა კიდევ ერთი ფილმით გაგვახარა, მსოფლიოს კიდევ ერთ ჩვენთვის უცნობ ქვეყანაში გვამოგზაურა.

ამ დღეებში „რუსთაველის“ კინოთეატრში გაიმართა ეროსურათის „ბასკთა ქვეყანაში“ პრემიერა, მაყურებელთა შეხვედრა ფილმის შემოქმედთან კოლექტივთან და ბასკოლოგებთან.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები ფილმიდან „ბასკთა ქვეყანაში“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს გზებზე გამართულ ავტორალის საკავშირო ჩემპიონატში შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს თბილისელმა მძღოლებმა ვ. გრიგორიანმა და ტ. მალინბომმა. მათვე გადაეცათ ჩვენი გაზეთის პრიზიც. გაგაცნობთ ჩემპიონებს. სპორტის ოსტატი ვიქტორ გრიგორიანი თბილისის № 5 სატვირთო მანქანების ავტოსატრანსპორტო საწარმოში მუშაობს. საავტომობილო სპორტს კარგა ხანია მისდევს. წლეულს გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში. მისი შტურმანი, ტამერლან მალინბომი კი სულ ერთი წელია მასთან ერთად გამოდის. იგი № 7 ავტოტექმომსახურების საგზაურის შემკეთებელია.

— ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ვავაბართეთ გულშემატკივართა იმედები. ჩემპიონის ოქროს მედლები ბევრს გვავალებს. გვინდა დიდი მადლობა ვუძღვნათ მწვრთნელებს სპორტის ოსტატებს ვ. სავიცკისა და მ. მელიქიანს. ორანაკლებ კმაყოფილი ვართ მექანიკოსების გ. მირველოვისა და რ. პეტროსიანისა, რომლებმაც მანქანის მოწესრიგებაზე იზრუნეს. უნდა ითქვას, რომ მთელ 900 კილომეტრიან ტრასაზე არც ერთი შეფერხება არ გვქონია.

წინ არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ტური, რომელიც შემოდგომაზე ბალტიისპირეთის ერთ-ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაიმართება. სურვილი გვაქვს იქაც ისევე წარმატებით ვიასპარეზოთ, როგორც საქართველოს გზებზე.

გარდა ამისა ამ შეჯიბრებაზე პირველად შევასრულე სპორტის ოსტატის ნორმა, გვითხრა შტურმანმა ტ. მალინბომმა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: საბჭოთა კავშირის 1977 წლის ჩემპიონები „ᲣᲘᲒᲣᲚᲘᲡ“ კლასის მანქანებით რბოლაში, გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური პრიზის მფლობელნი ტ. მალინბომი (მარცხნივ) და ვ. გრიგორიანი.

ხ. ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო.

ᲐᲕᲢᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲡ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲕᲘ დაიწყო სტუდენტთა საჭადრაკო ოლიმპიადა. საბჭოთა სტუდენტების გუნდი თამაშობს პირველ შესარჩევ ჯგუფში. აქ გამოდიან აგრეთვე ბრაზილიის, შოტლანდიის, კანადისა და იამაიკის გუნდები.

საბჭოთა მოჭადრაკეები პირველ ტურში შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს და გაიმარჯვეს — 2,5:1,5. ბრაზილიელთა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრაში ანგარიშია 2:0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ (ორი პარტია დაუმთავრებელია). კანადელებმა ანგარიშით 3:1 სძლიეს იამაიკის ნაკრებს.

კუბის ძლიერი გუნდი, რომელსაც დიდოსტატი გილერმო გარსია მეთაურობს, მეორე შესარჩევ ჯგუფში თამაშობს. კუბელები ანგარიშით 2:1 წინ არიან მექსიკელებთან, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეებმა 4:0 მოუგეს გვატემალელებს.

მესამე ჯგუფში პოლონელებს ვენესუელებთან თამაში მიჰყავთ ანგარიშით 2:0.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ვიუწყებოდით, იტალიის ქალაქ გესინანში ახლახან დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. ამავე ქვეყნის ქალაქ პალერმოში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი „მონდელოს თასზე“.

პირველ მატჩში საბჭოთა გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა ნაკრებს. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 87:84. გამარჯვებულებს ყველაზე მეტ ქულა — 22 ყიგულიმ შესძინა. ჩეხოსლოვაკელებმა ანგარიშით 71:68 მოუგეს იტალიელებს.

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი გოგონთა შორის. თავიანთ შესარჩევ ქვეჯგუფში ლიდერობენ საბჭოთა კალათბურთელები. მათ მესამე მატჩი გაიმართეს და მოიგეს იტალიელებთან ანგარიშით 106:40.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, მოსკოვის „ლოკომოტივი“ თურქეთშია. პირველი ორი შეხვედრა რეინგზელებმა („ტრაპეზონსპორი“ და „ბურსასპორი“) დაამთავრეს ერთნაირი ანგარიშით (0:0) ფრედ. მესამე მატჩში მოსკოველები 0:1 დამარცხდნენ სტამბოლის „ბეშიკტაშთან“.

რედაქტორი
დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲞᲘᲓᲐᲮᲑᲐ. პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ათლეტებმა. შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხი პირველი ადგილი საბჭოთა ძიუდოისტებმა დაიკავეს. აი ისინი: ევროპის ჩემპიონი ელექტროტალელი ალექსანდრე ვოლოსოვი (78 კილოგრამი), მაიკოპელი არამბი ემიეი (60 კილოგრამი), მოსკოველი ალექსანდრე ტიურინი (95 კილოგრამს ზემოთ) და მაიკოპელი ვლადიმერ გურნი (95 კილოგრამამდე).

მძლეოსნობა. როგორც ცნობილია, 13 და 14 აგვისტოს ჰელსინკში გაიმართება ევროპის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება მძლეოსნობაში. ამ შეჯიბრებისათვის გაცხოველებით ემზადებიან და მაღალ შედეგებს აჩვენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები. იოგენ რაიმ 200 მეტრი 20,37 წამში დაფარა. კრისტინა ლიბერტრაუს 1.000 მეტრის გასარბენად 2 წუთი და 34,8 წამი დასჭირდა: წლევანდელ ხურონში მსოფლიოში 400 მეტრზე რბენაში მარიტა კოხმა ყველაზე უკეთესი დრო (48,68 წამი) აჩვენა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲘᲡ ᲑᲐᲡᲙᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲖᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲤᲘᲚᲛᲘᲗᲐ

10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „ზაბანეული“, 11.45 — დოკუმენტური ფილმი „პროტესტანოვი“, 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „არც ერთი სიტყვა ფეხბურთის შესახებ“ (ფერადი), 18.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალკის სიმღერები“, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.00 — კონცერტი, 19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის“ — საბჭოთა ლიტვა — გადაცემაში მონაწილეობს ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გრიშკევიჩუსი (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“ — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები; „დღის დასაწყისი“ — სამეცნიერო ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები; „ჰკურნავს თუ არა ალკოჰოლი?“ — სვერდლოვსკის კინოსტუდიის ნაწარმოები (მოსკოვიდან), 22.55 — „მშვიდობისა და პროგრესის ქარტია“, 23.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა“ (ფერადი), 23.45 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ კონცერტი (ფერადი. მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი ბგერაკი“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „უკრავენ მ. მდივანი და თ. გაბარაშვილი“, 19.20 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ზებერი მეზურნეები“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ქანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ო. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „მინდია“, 11.45 — ნარკვევი „შრომით მოპოვებული ხალელი“, 12.15 — მღერის ლ. ივანოვა, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. მ. შოლოხოვი — „წყნარი დონი“ (გაგრძელება), 17.15 — ვ. აზარაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „საბჭოთა სამშობლოს მატიანე“ — მეექვსე ხუთწლედი, 18.10 — მღერის თ. გურგენიძე, 18.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 19.00 — „სოციალისტური დემოკრატიის რეალური გარანტიები“, 19.20—ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 —დ. შოსტაკოვიჩი. პირველი სიმფონია, 22.00 — „მწერალი და ცხოვრება“. მიკროფონთან — გ. ფანჯიკიძე, 23.30 — ფ. ლოუ. ნაწყვეტები ოპერეტიდან „ჩემი მშვენიერი ლედი“.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, ბ/შ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 95-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ 02230 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲠᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ 1977 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲚᲝᲑ